



საქართველოს სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN) OF GEORGIA

08/06/2022

**„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს
ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახალხო
დამცველი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს აცნობებს ნიკა
გვარამიას განაჩენის შესწავლა/შემოწმების შედეგებს**

საქართველოს სახალხო დამცველმა შეისწავლა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 16 მაისის განაჩენი. რომლითაც სსკ 220-ე მუხლით (2 ეპიზოდი) დამნაშავედ იქნა ცნობილი შპს „სამაუწყებლო ტელეკომპანია რუსთავი 2“-ის ყოფილი გენერალური დირექტორი, ნიკა გვარამია. განაჩენის შესწავლის შედეგად სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ სასამართლოს მსჯელობა დაუსაბუთებელია როგორც მსჯავრდების, ისე - სასჯელის განსაზღვრის კუთხით. დასაბუთების სერიოზული ნაკლებობა განსაკუთრებით საგანგაშოა აღნიშნული საქმის მიმართ არსებული საჯარო ინტერესისა და არაერთი სასამართლოს მეგობრის მოსაზრების¹ გათვალისწინებით, რომლებმაც სასამართლოს ამომწურავი შედარებით-სამართლებრივი ანალიზი მიაწოდეს საკვანძო სისხლისსამართლებრივი და საკორპორაციო-სამართლებრივი პრინციპების შესახებ.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული მანდატის შესაბამისად, წინამდებარე დასკვნაში განხილული იქნება ის მატერიალურ-სამართლებრივი საკითხები, რომლებიც აშკარას ხდის საქმეში სისხლის სამართლის ძირითადი პრინციპების, მათ შორის, კანონიერების პრინციპის დარღვევას.

1. ე.წ. რეკლამების გაყიდვის ეპიზოდი

განაჩენის თანახმად, ნიკა გვარამიამ ჩაიდინა საწარმოს, ტ/კ „რუსთავი 2-ის“ დამაზიანებელი მოქმედება იმით, რომ 2015 წელს, კომპანიის მართვის დროს, შეცვალა რეკლამის გაყიდვასთან დაკავშირებული ხელშეკრულების პირობები, რითიც კომპანიამ არ მიიღო უფრო მეტი შემოსავალი.

ცხადია, ნებისმიერი სამეწარმეო გადაწყვეტილება არ შეიძლება გახდეს სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი შეფასების საგანი. შესაბამისად, განაჩენში მოსამართლეს უნდა დაესაბუთებინა, თუ რა გამოარჩევს განსახილველ შემთხვევას ჩვეულებრივი

¹ მათ შორის, საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლო მეგობრის მოსაზრება ნიკა გვარამიას ბრალდების საქმეზე, ხელმისაწვდომია: < <https://ombudsman.ge/res/docs/2019110416234655074.pdf> > [ბოლოს ნანახია: 06.06.2022].

სამეწარმეო საქმიანობისგან და რა იწვევს მისი სისხლისსამართლებრივი შეფასების აუცილებლობას. სხვაგვარად, ჩვეულებრივი სამეწარმეო გადაწყვეტილების გამო პირის დასჯა დაარღვევდა კანონიერების პრინციპის მთავარ ელემენტს - განჭვრეტადობის პრინციპს, რომელიც კრძალავს ბუნდოვანი ან განუსაზღვრელი ნორმის საფუძველზე პირის მსჯავრდებას.

2019 წლის 4 ნოემბერს სახალხო დამცველმა აღნიშნულ ეპიზოდზე სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. დოკუმენტი მიმოიხილავს საკორპორაციო-სამართლებრივი და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კავშირსა და ურთიერთმიმართებას. სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში განხილულია აშშ-ს, გაერთიანებული სამეფოს, კონტინენტური ევროპის ქვეყნებისა და საქართველოს სასამართლოების პრაქტიკა, რომლის თანახმად, მსგავსი სამეწარმეო გადაწყვეტილება ვერ გამოიწვევს არათუ სისხლისსამართლებრივ, არამედ კორპორატიულ პასუხისმგებლობასაც კი. დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლებელია, ნაკლები მოგების მიღებას გულისხმობდეს, მაგრამ კორპორაციის საუკეთესო ინტერესებს ემსახურებოდეს და მოკლე ან გრძელვადიანი რისკების დაზღვევას ემსახურებოდეს.

თუნდაც საკორპორაციო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად აუცილებელია, რომ დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყოს:

- ერთპიროვნული, პარტნიორებთან შეუთანხმებელი მოქმედება (დომინანტური მდგომარეობის გამოყენებით);
- მიზნად ისახავდეს პირად ან სხვის გამდიდრებას თაღლითობის (fraud)² ჩადენის გზით;
- რისკების ანალიზი გონივრულად გამორიცხავდეს, რომ მენეჯერის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ემსახურებოდა კორპორაციის საუკეთესო ინტერესებს.

საგულისხმოა, რომ განაჩენში სასამართლომ, პირველი ორი საკითხი არც კი ახსენა, ხოლო მესამესთან დაკავშირებით, მხოლოდ ბლანკეტური განმარტებით შემოიფარგლა, რომ „კრიზის მენეჯმენტი რეალურად ემსახურებოდა არა კომპანია „რუსთავი 2-ის“, „რისკების“, არამედ საკუთარი თანამდებობრივი პოზიციის [...] დაზღვევას“.³ სასამართლო სხვაგანაც არაერთგან იყენებს მსგავს ბლანკეტურ, დასკვნის სახით გაკეთებულ შეფასებებს, რომელიც სრულად დეკლარაციული ხასიათისაა და არ შეიცავს მინიშნებასაც კი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მივიდა სასამართლო მსგავს დასკვნამდე. ამ კუთხით განაჩენი სრულად თავისუფალია მსჯელობისგან და/ან საკორპორაციო-სამართლებრივი შინაარსის ანალიზისგან. მაგალითისთვის, სასამართლო აცხადებს, რომ ხელშეკრულების დადების მიზანი იყო ის, რომ „რუსთავი

² იგულისხმება თაღლითობის სამოქალაქო სამართლებრივი მნიშვნელობა.

³ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 16 მაისის N1/5624-19 განაჩენი (შემდგომში: „განაჩენი“), გვ 119.

2“-ის” ახალ მესაკუთრეს არ ჰქონოდა ხელშეკრულების გაწყვეტის შესაძლებლობა დაუსაბუთებელი ფინანსური ზიანის გარეშე”.⁴ სასამართლო არ ასაბუთებს, რა ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარეობს ეს საკითხი, რომელი მტკიცებულებებიდან ან მოწმეთა ჩვენებებიდან იკითხება დირექტორის ეს განზრახვა, ან რატომ არის ხელშეკრულების გაწყვეტის შემთხვევაში პირგასამტეხლოს გათვალისწინება „დაუსაბუთებელი ფინანსური ზიანი“.

სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში დაფიქსირებული საკითხების საპასუხოდ სასამართლო აცხადებს, რომ იგი ბრალდების ამ ეპიზოდს არ შეაფასებს „მხოლოდ კორპორატიული სამართლის ჭრილში“⁵, თუმცა იგი საერთოდ არ ანალიზებს ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ სამოქალაქო ან საკორპორაციო-სამართლებრივ პრინციპებს. მაგალითისთვის, სასამართლო განსახილველ ხელშეკრულებას „კაბალურს“ უწოდებს და ამის დასაბუთებლად მოჰყავს ის გარემოება, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა 4 წელი იყო, მისი გაწყვეტის შემთხვევაში კი „რუსთავი 2-ს“ პირგასამტეხლო დაეკისრებოდა.⁶ სასამართლო ამ შეფასებას აკეთებს ყოველგვარი ანალიზის გარეშე - არ განიხილავს, თუ რატომ არის მიუღებელი მსგავსი პირგასამტეხლოს დათქმა ხელშეკრულებაში; რატომ არის პრობლემა 4 წლის ვადით ხელშეკრულების დადება, ან ბაზარზე არსებული ხელშეკრულებებისგან იგი რით განსხვავდება.

სასამართლო მოიხმობს ციტატებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთი და უზენაესი სასამართლოს ორი გადაწყვეტილებიდან, რომელთა თანახმად, საწარმოსთვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანი, რიგ შემთხვევაში, შეიძლება სისხლისსამართლებრივად დასჯადი იყოს.⁷ ცხადია, ამ პოზიციას სახალხო დამცველიც იზიარებს, რის გამოც სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში ასახა კონკრეტული, მყარად დამკვიდრებული ტესტი, რომლითაც შეიძლება შეფასება, თუ როდის შეიძლება გახდეს კორპორატიული დარღვევა დანაშაული. ტესტის ხელმისაწვდომობის მიუხედავად, სასამართლო საერთოდ არ შედის განხილვაში, თუ როდის და რა შემთხვევებში შეიძლება წარმოშვას კორპორატიულმა დარღვევამ დანაშაული და პირდაპირ ასკვნის, რომ დირექტორის მიერ „დარღვეული იყო არა მხოლოდ ფიდუციური ვალდებულებები, არამედ [...] ჩადენილი იქნა მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება“.⁸

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს მიერ მოხმობილი ისედაც მწირი სასამართლო პრაქტიკა საერთოდ არ ეხება განსახილველ საკითხს. ის, რომ რიგ შემთხვევებში საკორპორაციო-სამართლებრივი საკითხი სისხლისსამართლებრივად რელევანტური შეიძლება გახდეს, საკამათო არ ყოფილა. სასამართლოს უნდა შეეფასებინა, ეს კონკრეტული შემთხვევა რამდენად წარმოადგენდა მსგავსი შემთხვევის

⁴ განაჩენი, გვ 117.

⁵ განაჩენი, გვ 118.

⁶ განაჩენი, გვ 117.

⁷ განაჩენი, გვ 122-124.

⁸ განაჩენი, გვ 124.

მაგალითს და ამის დასასაბუთებლად გამოეყენებინა არსებული საერთაშორისო და შიდაეროვნული სასამართლო პრაქტიკა. სამწუხაროდ, სასამართლოს მიერ მოხმობილი 3 გადაწყვეტილება დასჯადობის მხოლოდ თეორიულ შესაძლებლობას შეეხება და არა კონკრეტულ გარემოებებს, რომელიც დასჯადობის საჭიროებას განაპირობებს. აღსანიშნავია, რომ ერთ შემთხვევაში მითითებული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიცავს ციტატას გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილიდან.

ამრიგად, სასამართლომ, ამ ეპიზოდის შეფასებისას, დადებული ხელშეკრულება და დირექტორის მიერ განხორციელებული ქმედებები ისე შეაფასა, რომ:

- არ შეაფასა დირექტორის ქმედებების მართლზომიერების წინაპირობები სამეწარმეო განსჯის წესიდან გამომდინარე;
- არ გაითვალისწინა კომპანიის მფლობელის თანხმობის მნიშვნელობა ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით;
- არ ჩათვალა საჭიროდ დაესაბუთებინა, თუ რატომ წარმოადგენდა ხელშეკრულება კაბალურს ან „რუსთავი 2-ის“ მყისიერი საჭიროებების გათვალისწინებით, საზიანოს;
- არ შეაფასა, თუ რატომ იყო ეს შემთხვევა ისეთი, სადაც საკორპორაციო-სამართლებრივი საკითხი სისხლისსამართლებრივ დასჯადობას საჭიროებდა.

სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ საწარმოს მართვისას მიღებული მენეჯერული გადაწყვეტილება არ შეიძლება შეფასდეს დირექტორის სამართლებრივი სტატუსის სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე. დაუშვებელია მენეჯერის დასჯა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისთვის, როცა სასამართლო ვერ ასაბუთებს მის პირად დაინტერესებას, თაღლითობას, ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას, ან სხვა დანაშაულებრივ ქმედებას. სასამართლო არც კი შედის იმ საკითხის განხილვაში, არის თუ არა საკორპორაციო-სამართლებრივი ვალდებულებები დარღვეული სამეწარმეო განსჯის წესის მიხედვით, ან რატომ და როდის ხდება შესაძლო ფიდუციური ვალდებულების დარღვევა სისხლისსამართლებრივად რელევანტური.

ამრიგად, სასამართლომ მხოლოდ ზოგადად, დეკლარაციულ დონეზე ახსენა საკორპორაციო-სამართლებრივი საკითხები და შინაარსობრივ განხილვაში არ შესულა. თუმცა, კიდევ უფრო საგანგაშოა, რომ სასამართლოს საერთოდ არ დაუსაბუთებია, საკორპორაციო-სამართლებრივმა დარღვევამ როდის და რა შემთხვევებში შეიძლება მიაღწიოს სისხლისსამართლებრივი დასჯადობის ზღვარს და რატომ წარმოადგენს განსახილველი ეპიზოდი ამ მაგალითს. შესაბამისად, განაჩენი არამხოლოდ სრულად დაუსაბუთებელია, არამედ პირდაპირ არღვევს საქართველოს კანონმდებლობითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 მუხლით დაცულ კანონიერების პრინციპს.

2. ე. წ. მანქანის ეპიზოდი

ა) მსჯავრდების საკითხი

2019 წლის ეპიზოდი წინა ეპიზოდის მსგავსია როგორც მსჯავრდების კვალიფიკაციის (სსკ 220-ე მუხლი), ისე - შინაარსით. განსახილველი საკითხი შეეხება ტ/კ „რუსთავი 2-ის“ სარეკლამო ეთერის გაყიდვას საბაზრო ფასზე ნაკლებ ოდენობად 3 თვის განმავლობაში. სასამართლოს თანახმად, ამის მიზანს წარმოადგენდა დირექტორის, ნიკა გვარამიას, პირადი დაინტერესება, რომ სანაცვლოდ რეკლამის განმთავსებელი კომპანიისგან მის მეუღლეს ფაქტობრივ მფლობელობაში მიეღო ავტომანქანა.

ამრიგად, მოცემულ შემთხვევაშიც, სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენდა მენეჯერის მიერ კონკრეტული ხელშეკრულების დადება და ამ გზით კომპანიისთვის ზიანის მიყენება. ისევე, როგორც წინა ეპიზოდში განსახილველი ქმედება (რეკლამის გაყიდვასთან დაკავშირებული ხელშეკრულება), აღნიშნული საკითხი დირექტორის სპეციალური როლისა და საკორპორაციო-სამართლებრივი განზომილების გათვალისწინებით უნდა შეფასებულიყო. მოსამართლეს უნდა შეეფასებინა, ხელშეკრულების დადებისას დაირღვა თუ არა რომელიმე ფიდეუციური მოვალეობა და წარმოადგენდა თუ არა ეს იმ მასშტაბის განზრახ ქმედებას, რაც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას წარმოშობდა (ზემოხსენებული სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში მითითებული ტესტების შესაბამისად).

სამწუხაროდ, ამ ეპიზოდთან დაკავშირებით განაჩენში ვერ ვხვდებით ფიდეუციური მოვალეობებისა და საკორპორაციო-სამართლებრივი საკითხების თუნდაც გაკვრით ხსენებასაც კი. ერთადერთი, რასაც სასამართლო ადგენს არის ის, რომ კომპანიის მიერ დადებული ხელშეკრულება საბაზრო ფასზე ნაკლებ ანაზღაურებას ითვალისწინებდა.⁹ სამეწარმეო განსჯის წესისა და ხელშეკრულების დადების საკორპორაციო შინაარსში შესვლის გარეშე, გაუგებარია, თუ როგორ შეუძლია სასამართლოს, მხოლოდ ფასებს შორის სხვაობის დადგენით, გამოიტანოს დასკვნა, რომ ხელშეკრულების დადება კომპანიის ინტერესებს უხეშად აზიანებდა.

აქვე, აღსანიშნავია, რომ, მანდატიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი არ განიხილავს ფაქტობრივი გარემოებების დადგენის კუთხით სასამართლოს მსჯელობის შინაარსს, თუმცა შესაძლოა არსებობდეს კითხვები იმ მოცემულობიდან გამომდინარე, რომ სასამართლო რიგ შემთხვევებში არ ასაბუთებს, თუ რატომ იზიარებს კონკრეტულ ჩვენებას, ან არ იზიარებს ნეიტრალური მოწმის ჩვენებას. განსაკუთრებით საგულისხმო ეს იმ შემთხვევაშია, როცა განსახილველ საკითხს წარმოადგენს, მაგალითად, ხელშეკრულების დადების განმაპირობებელი ფაქტორი. მით უფრო, რომ კომპანიის დირექტორები, ზოგადად, ხელშეკრულების დადების დროს ხშირად იყენებენ არაფორმალურ კონტაქტებსა და საკანონმდებლო სივრცის მოქნილობას.¹⁰

⁹ განაჩენი, გვ 127-128.

¹⁰ საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლო მეგობრის მოსაზრება, გვ 3.

მაგალითად, სასამართლო დასაბუთების გარეშე, ბლანკეტურად აცხადებს, რომ „მოკლებულია საღ აზრს“,¹¹ რომ ხელშეკრულების დადების დროს კონტრაქტორებს გაეთვალისწინებინათ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის, „პროექტო მედიას“ ფინანსური მდგომარეობა. საკორპორაციო-სამართლებრივ ჭრილში (სამეწარმეო განსჯის წესის მიზნებისთვის) ეს საკითხი, ისევე, როგორც ზოგადად ხელშეკრულების დადების მიზნობრიობა, ცალკე შესწავლის საკითხი იქნებოდა, რის გარეშეც დარღვევის დადგენა ვერ მოხერხდებოდა, მოსამართლე კი ამ გარემოებას ხელაღებით უკუაგდება და მხედველობაში არ იღებს.

წარსულში მიღებული სამეწარმეო გადაწყვეტილების post factum შეფასება საკორპორაციო სამართალშიც კი რთულია და საჭიროებს ისეთი ფაქტორების შეფასებას, როგორცაა დირექტორის გამოცდილება და კვალიფიკაცია, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, საკითხის სირთულე და მისი სწრაფი გადაწყვეტის აუცილებლობა. საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, დირექტორის მიმართ გამოძიების დაწყება და ამ საკითხების პირველადად სისხლის სამართლის პროკურორის ან მოსამართლის მიერ შეფასება არც არის მიზანშეწონილი.¹² შესაბამისად, განმაცვიფრებელია, რომ ამ ეპიზოდის შეფასებისას სასამართლო არც კი განიხილავს სამეწარმეო განსჯის წესსა და საკორპორაციო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებს (რათა შემდგომ შექმნას საფუძველი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებლად).

წინამდებარე საქმე სწორედ იმის ნათელი მაგალითია, რომ მსგავსი საკითხების შეფასება სისხლის სამართლის სპეციალისტებისგან განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს - საქმის მოსამართლემ ისე დაადგინა საკვანძო საკითხები, რომ მყარად დადგენილი საკორპორაციო-სამართლებრივი ტესტები არც კი გაითვალისწინა. მოსამართლემ ისე ჩათვალა, რომ ხელშეკრულება არამიზანშეწონილი იყო, რომ ხელშეკრულების საგნის ფასის გარდა, სხვა ზემოხსენებული ცვლადი არც მიიღო მხედველობაში.

აქვე ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ მოსამართლის (სავსებით მართებული) განცხადებით, დირექტორს კონკრეტული მანქანა ან მისი ღირებულების შესაბამისი ოდენობა ისედაც შეეძლო, პრემიის სახით გამოეწერა საკუთარი თავისთვის და ეს დარღვევა არ იქნებოდა.¹³ თუმცა, აღარ განმარტა, თუ რატომ შეიძლება გადაეწყვიტა დირექტორს, პრემიის სახით მანქანის გამოწერის ნაცვლად, მრავალმხრივი კონტრაქტების დადებით ამ მანქანის დანაშაულებრივად მოპოვება ეცადა. საყურადღებოა, რომ ავტომანქანა საბოლოოდ ნიკა გვარამიას ან მის მეუღლეს არ მიუღიათ საკუთრებაში. მოსამართლე მხოლოდ იმას უთითებს, რომ პრემიის გამოწერით თანხის/მანქანის მიღება მართლზომიერი იქნებოდა, ხოლო ხელშეკრულების დადება დააზიანებდა „რუსთავი 2-ის“ ინტერესებს. სამწუხაროა, რომ მოსამართლე არ განმარტავს, თუ როგორ მივიდა

¹¹ განაჩენი, გვ 129.

¹² საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლო მეგობრის მოსაზრება, გვ 7.

¹³ განაჩენი, გვ 130

მსგავს დასკვნამდე, მით უფრო, რომ პრემიის სახით მანქანის მიღების შემთხვევაში, კომპანია ბევრად მეტ ქონებას „დაკარგავდა“.

აქვე უნდა აღინიშნოს განაჩენის მნიშვნელოვანი ხარვეზიც, რომელიც პირდაპირ არღვევს საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს. სსკ 220-ე მუხლი არ წარმოადგენს იმ დანაშაულს, რომლისთვისაც შესაძლებელია ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, ან რომელში დამნაშავედ პირის ცნობისთვისაც შეიძლება ამ გზით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენება.¹⁴ მოსამართლე კი ერთ-ერთი ფაქტობრივი გარემოების დასასაბუთებლად სწორედ ფარული საგამოძიებო მოქმედების მასალები გამოიყენა, რომელიც სხვა ბრალდების საფუძველზე იყო მოპოვებული.¹⁵

საბოლოო ჯამში, თუ წინა ეპიზოდში საკორპორაციო-სამართლებრივი საკითხები და ხელშეკრულების შეფასების წესი პრინციპის დონეზე მაინც იყო ნახსენები, ამ ეპიზოდში მოსამართლე საერთოდ არ განიხილავს ფიდუციური ვალდებულებების არსს და ხელშეკრულების მართლზომიერების შეფასების სტანდარტებს. მოსამართლე სრულად უგულვებლყოფს საკორპორაციო სამართლის ძირითად პრინციპებს და არც აქ ასაბუთებს, თუ რატომ არის ხელშეკრულების კონკრეტული პირობებით (თუნდაც საბაზრო ფასზე ნაკლებად) დადება არამართლზომიერი, არ იყენებს სამეწარმეო განსჯის წესს და არ აფასებს, თუ რატომ იწვევს კონკრეტული შესაძლო კორპორატიული დარღვევა სისხლისსამართლებრივი დასჯადობის საჭიროებას.

ბ) სასჯელის დანიშვნა

ბრალდებულთა დამნაშავედ ცნობის შემდგომ, სასამართლოს უნდა დაესაბუთებინა, თუ რატომ გამოიყენა კონკრეტული სასჯელის სახე და ზომა. სამწუხაროდ, განაჩენი ამ ეპიზოდშიც სრულად დაუსაბუთებელია. სასამართლო მხოლოდ ერთი წინადადებით შემოიფარგლა სასჯელის სახის (საპატიმრო სასჯელის) განსაზღვრის დასაბუთების დროს და საერთოდ, ერთი წინადადებითაც კი არ მიუთითა, თუ რატომ ჩათვალა სასჯელის ზომა (3.5 წლით თავისუფლების აღკვეთა) შესაფერისად და რატომ არ გამოიყენა მეტი ან ნაკლები ოდენობა, რასაც სსკ 220-ე მუხლის დისპოზიცია ითვალისწინებდა.

მსჯავრდებულისთვის სასჯელის განსაზღვრა მის დამნაშავედ ცნობაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია, რის გამოც სისხლის სამართლის კოდექსი ჩამოთვლის პრინციპებს, რომელსაც თითოეული დანიშნული სასჯელი უნდა აკმაყოფილებდეს.¹⁶ მოცემულ შემთხვევაში, როცა მოსამართლე არც ახსენებს, არათუ ასაბუთებს გამოყენებული სასჯელის ოდენობის შესაბამისობას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პრინციპებთან, ცხადია, ეს ვალდებულება შესრულებულად ვერ ჩაითვლება.

¹⁴ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143¹ მუხლის მეორე ნაწილი.

¹⁵ განაჩენი, გვ 128

¹⁶ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილი.

გარდა ამისა, პრობლემურია სასჯელის სახის - თავისუფლების აღკვეთის - განსაზღვრასთან დაკავშირებით მოსამართლის მსჯელობაც. საპატიმრო სასჯელის აუცილებლობის გამოსაკვეთად მოსამართლე უთითებს, რომ (1) ჯარიმის გამოყენება დაუშვებელია, რადგან ბრალდებული აცხადებს, რომ ჯარიმას არ გადაიხდის და (2) შინაპატიმრობის დანიშვნის შემთხვევაში ბრალდებული ჩაიდენს ახალ დანაშაულს.¹⁷ პირველი არგუმენტი მოსამართლისვე მსჯელობასთან არის შეუსაბამო - ზუსტად ამავე აზრით მოსამართლემ ნიკა გვარამიას ჯარიმა დაუნიშნა პირველი ეპიზოდის ჩადენის გამო. მეორე არგუმენტი ასევე ბუნდოვანია, რადგან მოსამართლე საერთოდ არ უთითებს, თუ რა აძლევს მას იმის ვარაუდის საფუძველს, რომ მსჯავრდებული შინაპატიმრობაში ახალ დანაშაულს ჩაიდენს. თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა კიდევ უფრო აუხსნელია პირველ და მეორე ეპიზოდს შორის არსებული ზიანის შედარებით - სასამართლომ ჯარიმა განსაზღვრა პირველ ეპიზოდში, ხოლო აქ, ანალოგიური ქმედებისთვის, დანიშნა თავისუფლების აღკვეთა, როცა გამოწვეული ზიანი პირველ ეპიზოდთან შედარებით დაახლოებით 100-ჯერ ნაკლები იყო. გასათვალისწინებელია საერთო სასამართლოების პრაქტიკაც 220-ე მუხლთან მიმართებით; კერძოდ, 2017-2021 წლებში ამ მუხლით მსჯავრდებისას საპატიმრო სასჯელი არცერთ შემთხვევაში არ ყოფილა გამოყენებული.¹⁸

ამრიგად, სასჯელის სახის განსაზღვრას მოსამართლემ მხოლოდ 1 წინადადება დაუთმო, ხოლო სასჯელის ზომა საერთოდ არ დაასაბუთა, რაც ცალსახად ვერ ჩაითვლება სისხლის სამართლის კოდექსში ასახული პრინციპების შესაბამისად. ეს საკითხი განსაკუთრებით საგულისხმო ხარვეზია იმის გათვალისწინებით, რომ მოსამართლემ განაჩენის სამი სრული გვერდი სასამართლო მეგობრის მოსაზრების ავტორთა დაუსაბუთებელ კრიტიკას დაუთმო.¹⁹

მაგალითისთვის, სასამართლომ განაცხადა, რომ მოსაზრების ავტორები არიან სუბიექტურები, რადგან მათ (სახალხო დამცველის გარდა) მოსაზრების წარდგენის წინადადებით დაცვის მხარემ მიმართა²⁰ და საქმის მასალები დაცვის მხარისგან მოიპოვეს.²¹ ამ განმარტებით სასამართლომ, ფაქტობრივად, ეჭვქვეშ დააყენა ზოგადად სასამართლოს მეგობრის მოსაზრების ინსტიტუტი, რადგან მსგავსი განმარტებით, სახალხო დამცველის გარდა, ნებისმიერი სხვა პირი *prima facie* სუბიექტურად მიაჩნია. მეტიც, მოსაზრების პოტენციური ავტორისთვის სისხლის სამართლის საქმის მასალების შესასწავლად გადაცემა მხოლოდ მხარეებს შეუძლიათ; შესაბამისად, გამოდის, რომ მოსამართლისთვის მოსაზრების ავტორი ყველა შემთხვევაში სუბიექტური იქნება რომელიმე მხარის სასარგებლოდ.

¹⁷ განაჩენი, გვ 138.

¹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 30 მაისის #3-544-22 წერილი.

¹⁹ განაჩენი, გვ 130-132.

²⁰ განაჩენი, გვ 130.

²¹ განაჩენი, გვ 131.

აქვე, არ შეიძლება არ აღინიშნოს მოსამართლის მიერ დაფიქსირებული წუხილი იმასთან დაკავშირებით, რომ მან სასამართლოს მეგობრის მოსაზრებიდან ვერ ამოიკითხა, თუ რამდენად რელევანტური იყო აშშ-ს, გერმანიის, გაერთიანებული სამეფოსა და საქართველოს „ცალკეულ სასამართლოთა გადაწყვეტილებები“ განსახილველ საკითხთან.²² თუკი მოსამართლეს მსგავსი კითხვები გააჩნდა, მას ჰქონდა უფლებამოსილება, სასამართლოში ზეპირი განმარტების მისაცემად დაებარებინა სასამართლოს მეგობრის მოსაზრების ავტორი - რასთან დაკავშირებითაც სახალხო დამცველს წერილობითაც ჰქონდა დაფიქსირებული სრული მზაობა და მხარის მიერ შესაბამისი შუამდგომლობაც იყო დაყენებული, რომელიც მოსამართლემ არ დააკმაყოფილა.

და ბოლოს, მოსამართლემ არ გაიზიარა აუდიტორული კომპანია „იუაის“ სამართლებრივი დასკვნა, რის არგუმენტადაც მოიშველია ის, რომ დასკვნის ავტორებს „არ შეუძლებიათ დოკუმენტების ნამდვილობა, ავთენტურობა, ანუ ისინი უშვებენ, რომ ნებისმიერი მოწოდებული ინფორმაცია არის სიმართლე“.²³ ანუ, მოსამართლემ ამ მსჯელობით ფაქტობრივად დაუშვა დაცვის მხარის მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა და აუდიტორული კომპანიისთვის გაყალბებული დოკუმენტაციის გადაცემა.

საბოლოო ჯამში, მოსამართლის მიერ დანიშნული სასჯელის სახე და ზომა ყოვლად დაუსაბუთებელია, რაც სისხლის სამართლის კოდექსის მოთხოვნებს არღვევს.

3. ე.წ. ფულის გათეთრების ეპიზოდი

განაჩენის ერთადერთი მონაკვეთი, სადაც სასამართლოს მსჯელობა შეიცავს მითითებებს საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმებზე,²⁴ არის ე.წ. ფულის გათეთრების ეპიზოდი და ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ ეპიზოდში ბრალდებული გამართლდა. სასამართლომ ამ ეპიზოდში გამოიყენა მამუკა ხაზარაძისა და სხვების ბრალდების საქმის განაჩენით დამკვიდრებული პრაქტიკა და ფულის გათეთრების დანაშაული განმარტა მისი კონვენციური შინაარსიდან გამომდინარე. სწორედ კონვენციური შინაარსის - პრედიკატული დანაშაულის ჩადენის, სპეციალური სქემისა და მიზნის საჭიროების შესახებ, სახალხო დამცველმა ამ საქმეზე წარადგინა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, რომელიც ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით დამკვიდრებულ საერთაშორისო გამოცდილებასა და პრაქტიკას ასახავდა და რომელიც მოგვიანებით მოსამართლემ გამამართლებელ განაჩენში გაითვალისწინა.²⁵

²² განაჩენი, გვ 132.

²³ იქვე.

²⁴ განაჩენი, გვ 107-108.

²⁵ საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლო მეგობრის მოსაზრება მამუკა ხაზარაძის ბრალდების საქმეზე, ხელმისაწვდომია: <<https://ombudsman.ge/res/docs/2020011515423286814.pdf>> [ბოლოს ნანახია: 06.06.2022].

სახალხო დამცველი მიესალმება, რომ ფულის გათეთრების უმძიმეს დანაშაულთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა სწორი მიმართულებით ჩამოყალიბდა. თუმცა, აქვე შემაშფოთებელია პროკურატურის მიერ დამკვიდრებული ტენდენცია, რადგან პოლიტიკური მდგენელის მქონე უკვე მეორე საქმეში გვხვდება ფულის გათეთრების ბრალდება, რომელიც სასამართლოსვე შეფასებით, არის ბუნდოვანი²⁶ და არ შეიცავს უტყუარ მტკიცებულებებს.²⁷ მსგავსი სიმძიმის ბრალდება სერიოზული რეპუტაციული ზიანის მომტანი შეიძლება იყოს ნებისმიერი ბრალდებულისთვის, რის გამოც, პროკურატურამ განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს.

ცხადია, წინამდებარე საქმის კონტექსტში მისასალმებელია, რომ სასამართლომ ამ ბრალდების შეფასების დროს გაითვალისწინა ნორმის სპეციფიკური შინაარსი და მხედველობაში მიიღო მასთან დაკავშირებით მყარად დამკვიდრებული საერთაშორისო გამოცდილება და სასამართლო პრაქტიკა. სწორედ ამის გათვალისწინებით, სამწუხაროა სასამართლოს მიერ გამოჩენილი სრული გულგრილობა ბრალდების სხვა ეპიზოდებთან დაკავშირებით, რომელიც ასევე სპეციფიკურ შედარებით-სამართლებრივ ანალიზს საჭიროებდა და იგი სასამართლოსთვის ხელმისაწვდომი იყო.

დასკვნა

ნიკა გვარამიას მიმართ გამოტანილი განაჩენი, სამართლებრივი მსჯელობის, ანალიზისა და თანმიმდევრულობის უკიდურესი სიმწირის გამო, შეიძლება შეფასდეს, როგორც არსებითად დაუსაბუთებელი. საბოლოო ჯამში, სასამართლომ ყველა მნიშვნელოვან სამართლებრივ კითხვაზე პასუხს თავი აარიდა.

მიუხედავად ამ ბრალდების საკორპორაციო-სამართლებრივი განზომილებისა, სასამართლო მხოლოდ რამდენიმე დეკლარაციული ტიპის განცხადებით შემოიფარგლა და საერთოდ მხედველობის მიღმა დატოვა მყარად დამკვიდრებული საკორპორაციო-სამართლებრივი ინსტიტუტების, განმარტებებისა და შეფასების ტესტების მნიშვნელობა. ამასთან, მეორე ეპიზოდში სასამართლომ არ დაასაბუთა და არ გასცა იმ არგუმენტს განაჩენში პასუხი, თუ რატომ არ იყო მნიშვნელოვანი კომპანიის მფლობელის ჩვენება, რომლის თანახმად, კომპანიის დირექტორს ისედაც შეეძლო ავტომატურად მიღება საკუთრებაში პრემიის სახით.

სასამართლომ:

- ორივე ეპიზოდში შეაფასა მენეჯერის მიერ დადებული ხელშეკრულების მართლზომიერება სამეწარმეო განსჯის წესის (business judgment rule) გარეშე;
- ორივე ეპიზოდში ხელშეკრულებების შეფასების დროს ყურადღება მიაქცია მხოლოდ ერთ, ფასის კომპონენტს და არ გაითვალისწინა არც კომპანიის საჭიროებები, არც საწარმოს დირექტორის მიერ კონტრაქტის ფინანსური

²⁶ განაჩენი, გვ 110.

²⁷ განაჩენი, გვ 111.

მდგომარეობის გათვალისწინების ფაქტი, არც მფლობელის თანხმობა, არც კონკრეტული რისკები, რომელიც კომპანიის წინაშე არსებობდა;

- ორივე ეპიზოდში ყველანაირი დასაბუთების ან განხილვის გარეშე, ფაქტობრივ მოცემულობად მიიღო ისეთი გარემოებები, რომელიც საკორპორაციო-სამართლებრივ ჭრილში ღრმა განხილვას საჭიროებდა.

თუმცა, ყველაზე პრობლემური საკითხი, ორივე ეპიზოდთან დაკავშირებით, სისხლისსამართლებრივი შინაარსისაა - მოსამართლემ საერთოდ არ შეაფასა და არ იმსჯელა, თუ რა შემთხვევებში შეიძლება გახდეს საკორპორაციო-სამართლებრივი ქმედება (მენეჯერის გადაწყვეტილება) სისხლისსამართლებრივად რელევანტური, როდის და რა გარემოებების არსებობის შემთხვევაში საჭიროებს იგი სისხლისსამართლებრივ სანქცირებას და რატომ იყო ეს შემთხვევა ამ განზომილების მქონე. გარდა ამისა, მოსამართლე ფაქტობრივი გარემოების განხილვისას დაეყრდნო ფარული საგამოძიებო მოქმედებით მიღებულ ინფორმაციას, რისი უფლებაც სსკ 220-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდების ფარგლებში არ გააჩნდა.

და ბოლოს, მოსამართლემ არ დაასაბუთა გამოყენებული საპატიმრო სასჯელის არც სახე და არც ზომა, ხოლო სასამართლოს მეგობრის მოსაზრებებში განხილული საკითხები არ გაიზიარა ისეთი არგუმენტების მოშველიებით, რომელიც საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან წინამდებარე განაჩენი წარმოადგენს კონსტიტუციით, ეროვნული და საქართაშორისო კანონმდებლობით განმტკიცებული კანონიერების პრინციპის უხეშ დარღვევას, საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს სახალხო დამცველი მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს, გამოიყენოს მის ხელთ არსებული შეწყალების უფლებამოსილება.